საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 6 მაისი**

დისციპლინური საქმე №88/20
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2020 წლის 17 აგვისტოს №88 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის №88/20 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოსამართლე განზრახ აჭიანურებს სისხლის სამართლის საქმის განხილვას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- სასამართლოში, -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე სს საპროცესო კოდექსის 220-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ 2019 წლის 12 ნოემბრის წინასასამართლო სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის სხდომის თარიღად განისაზღვრა 2019 წლის 21 ნოემბერი.

2019 წლის 15 ნოემბერს -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა მოსამართლე -- --.

-- -- სასამართლოს თავმჯდომარის -- -- 2019 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საქმეზე სათადარიგო მოსამართლედ დაინიშნა -- --.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 2 დეკემბერს საქმის განმხილველი მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების გამო.

-- -- სასამართლოდან გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, მოსამართლე -- -- 2020 წლის 1 იანვრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით:

- წინასასამართლო სხდომაზე განსახილველად დაეწერა 43 სს საქმე, დაასრულა 43;
- არსებითად განსახილველად დაეწერა 43 სს საქმე, დაასრულა 18, მათ შორის ორი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით;
- განსახილველად დაეწერა 47 შუამდგომლობა სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ, დაასრულა 47;
- განიხილა 98 შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების შესახებ;
- განიხილა 346 შუამდგომლობა საგამოძიებო მოქმედებების შესახებ;
- განიხილა 13 სხვა ტიპის სისხლის სამართლის საქმე;
- დაეწერა 66 ადმინისტრაციული საქმე, დაასრულა - 45;
- განიხილა 19 შუამდგომლობა ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ;
- განიხილა 285 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე;
- განიხილა 4 შუამდგომლობა მეწარმის შემოწმების შესახებ;
- განიხილა 1 განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.
- წარმოებაში აქვს 180 ადმინისტრაციული საქმე, 61 სს საქმე, 172 სამოქალაქო საქმე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2020 წლის 15 ოქტომბრის დასკვნა:

-- -- 2020 წლის 17 აგვისტოს №88 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება მოსამართლის მიერ ჩადენილი ქმედება, რომელიც არასაპატიო მიზეზით არსებითად არღვევს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადას.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული სასამართლოსადმი მიმართვის უფლება. სასამართლო დაცვა ეფექტიანია, თუ პასუხობს სწრაფი/დროული, სამართლიანი და ეფექტიანი მართლმსაჯულების მოთხოვნებს. სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს გონივრულად მისაღებ ვადებში, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე, ვინაიდან მართლმსაჯულების გაუმართლებელი დაყოვნება ძირს უთხრის მისდამი საზოგადოების ნდობას. იმავდროულად, საქმის განხილვისა და გადაწყვეტის ვადა უნდა იძლეოდეს საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის ობიექტურ შესაძლებლობას. ამიტომ სამართალწარმოების ხანგრძლივობის გონივრულობა უნდა შეფასდეს საქმის კონკრეტული გარემოებების საფუძველზე[1].

ზოგადად, ვადებს დიდი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ურთიერთობებში წესრიგის შეტანისთვის. მათ მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვთ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში.

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის/საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 3/2/577 გადაწყვეტილება

არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადა უშუალოდ მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებულ ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ დაიცვა. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grange v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Humen v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tierce and others v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany, §98).

განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი უთითებს, რომ მოსამართლემ დაარღვია საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული საქმის განხილვის საპროცესო ვადა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ 2019 წლის 12 ნოემბერს წინასასამართლო სხდომაზე, მოსამართლის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის

საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ.

-- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად დაეწერა 2019 წლის 2 დეკემბერს საქმის განმხილველი მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების გამო.

ვინაიდან, საჩივრის შემოტანის დროისთვის, სისხლის სამართლის საქმის არსებითად განსახილველად გადაცემიდან გასულია დაახლოებით 9 თვე, ადგილი არ აქვს მოსამართლე -- -- მიერ საპროცესო ვადის დარღვევას.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ მოსამართლეს არ ჩაუტარებია 2020 წლის თებერვლიდან საჩივრის შემოსვლის დღის მდგომარეობით სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის სხდომა, აღნიშნულთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მოსამართლე -- -- სისტემატურად ნიშნავდა სხდომებს 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით. 2020 წლის 20 თებერვლის არსებითი განხილვის სხდომაზე, მხარეებთან შეთანხმებით, მომდევნო სხდომის თარიღად განისაზღვრა 2020 წლის 19 მარტი, რომელიც გადაიდო კორონავირუსის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით, აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ მხარეებს. მოსამართლემ მომდევნო სხდომა ჩანიშნა 2020 წლის 4 მაისს, თუმცა საქართველოში არსებული საგანგებო მდომარეობის გამო, ასევე დაცვის მხარის შუამდგომლობის საუძველზე სხდომა გადაიდო სხვა დროისათვის.

აქვე საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, არსებითი განხილვის მომდევნო სხდომა 2020 წლის 30 ოქტომბრამდე არ ჩანიშნულა.

მნიშვნელოვანია სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება, რათა დადგინდეს რითი იყო განპირობებული მოსამართლის მიერ დაახლოებით 6 თვის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეზე საპროცესო მოქმედების ჩაუტარებლობა.

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქმე არ ხასიათდება განსაკუთრებული სირთულით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულეებთან, წარმოადგენს არასაპატიმრო საქმეს. ასევე, მხარეთა ქმედებები არ იყო მიმართული საქმის განხილვის გაჭიანურებისაკენ. თუმცა, როგორც სტატისტიკის ანალიზით დგინდება, მოსამართლე -- -- სასამართლოს მოსამართლის რანგში განიხილავს არა მხოლოდ სისხლის სამართლის, არამედ სხვა კატეგორიის საქმეებსაც, მათ შორის სისხლის სამართლის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მოსამართლის მიერ განხილულ საქმეთა რაოდენობა, სირთულე და მრავალფეროვნება გვაძლევს იმის მტკიცების საშუალებას, რომ მოსამართლემ ზემოაღნიშნულის გამო ვერ შეძლო -- -- მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე თითქმის 6 თვის განმავლობაში საპროცესო მოქმედების ჩატარება.

აქვე, უნდა გავითვალისწინოთ 2020 წლის განმავლობაში ქვეყანაში განვითარებული მოვლენები. კერძოდ, 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი გამოაცხადა პანდემიად, მისი მასობრივი გავრცელებისა და ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევების გათვალისწინებით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პრეზიდენტის მიერ გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და პრეზიდენტის მიერ გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით გამოიცა დეკრეტი (აღნიშნული დამტკიცდა პარლამენტის დადგენილებით 2020 წლის 21 მარტს). 2020 წლის 21 აპრილს პრეზიდენტის №2 ბრძანებით გაგრძელდა საგანგებო მდგომარეობა 22 მაისის ჩათვლით. ამას წინ უძღოდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1 რეკომენდაცია „კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად სასამართლო სისტემაში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომელიც აწესებდა ახალ რეგულაციებს სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებით. კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა მოსამართლეთა

მიერ მათ წარმოებაში არსებული საქმეთა განხილვის გადადებას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი საქმეთა განხილვის ვადების გათვალისწინებით.

ამდენად, -- -- საჩივართან დაკავშირებით შესწავლილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად (კორონავირუსთან დაკავშირებით ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისა და მოსამართლის დატვირთულობის გათვალისწინებით), არ იკვეთება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ნიშნები.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 6 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №88/20 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი